დამტკიცებულია

რექტორის 22.11.2019 წლის

#108 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -

მართლმადიდებელი საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (ს/კ 404439247)

სამეცნიერო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მართლმადიდებელი საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (ტექსტში შემდგომ თსას) წესდების საფუძველზე განისაზღვრება თსას-ის სამეცნიერო საბჭოს (ტექსტში შემდგომ სამეცნიერო საბჭო) უფლებამოსილების განხორციელების წესი და პროცედურა.
2. სამეცნიერო საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს თსას-ის წესდების, წინამდებარე დებულების, თსას–ის შიდასამართლებრივი აქტებისა და უმაღლესი განათლების მოქმედი მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეცნიერო საბჭო თავისი საქმიანობით ხელს უწყობს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტრუქტურული ერთეულების მიერ სამუშაოს ჯეროვნად შესრულებას, სამეცნიერო საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

მუხლი 2. სამეცნიერო საბჭოს სტატუსი და შემადგენლობა

1. სამეცნიერო საბჭო არის აკადემიური (საგანმანათლებლო-სამეცნიერო) და ადმინისტრაციულ-საფინანსო საქმიანობის მართვის უმაღლესი

წარმომადგენლობითი კოლეგიური ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

2. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიან: რექტორი, პრორექტორები, სულიერი მოძღვრები, დეკანები, კათედრის გამგეები. სამეცნიერო საბჭოს წევრები შესაძლებელია იყვნენ თსას-ის ორგანიზაციული სტრუქტურით გათვალისწინებული სხვა მმართველი ორგანოს წარმომადგენელი/წარმომადგენლები და ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირები, აგრეთვე თსას-ის მოქმედი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი.

3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობს თსას-ის რექტორი.

4. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირთაგან ამტკიცებს თსას-ის რექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

5. სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანს საბჭოს წევრებიდან ირჩევს და ნიშნავს თსას-ის რექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 3. სამეცნიერო საბჭოს წევრობის შეწყვეტის საფუძვლები

1. სამეცნიერო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

   ა) პირადი განცხადება;

   ბ) დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება;

   გ) აღნიშნული დებულების 5.7. მუხლით განსაზღვრული ქმედების ჩადენა;

მუხლი 4. სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილება

1. სამეცნიერო საბჭო თსას-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად:

1.1. ახორციელებს თსას-ის სასწავლო-სამეცნიერო, საფინანსო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობის ზედამხედველობას;

1.2. რექტორის წარდგინებით ამტკიცებს თსას-ის საგანმანათლებლო-სასწავლო პროგრამის განვითარების გეგმას, მასში შესატან ცვლილებას და ისმენს საგანმანათლებლო-სასწავლო პროგრამის გეგმის შესრულების ანგარიშს;

1.3. ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის ფუნქციონირებისათვის საჭირო წესსა და ინსტრუქციას, სამეცნიერო-კვლევით

პროგრამებს, აკადემიურ პროგრამებსა და პროგრამის შესაბამისად მისანიჭებელ კვალიფიკაციებს, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს, საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებსა და კურიკულუმებს, მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ავტორიზაციით განსაზღვრული კვოტის ფარგლებში; აგრეთვე, განიხილავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ წინადადებებს, რაც გათვალისწინებულია თსას-ის მოქმედი რეგულაციებითა და განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით;

1.4. ყოველი მომდევნო სასწავლო წლისათვის აწესებს ეროვნულ გამოცდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, საგამოცდო განრიგსა და კომისიებს, ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

1.5.

1.6. წარუდგენს რექტორს რეკომენდაციას კანდიდატისათვის ემერიტუსისა და საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების მინიჭების შესახებ;

1.7. განიხილავს სასწავლებლის წესდების, დებულების/დებულებების, შინაგანაწესის, თანამდებობრივი ინსტრუქციისა და ყველა იმ შიდასამართლებრივ აქტსა და მათში ცვლილებების შეტანის საკითხს, რომელთა დამტკიცების წინაპირობად გათვალისწინებულია საბჭოს მიერ მათი განხილვა;

1.8. ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვილი კრედიტების აღიარების წესს.

1.9. ისმენს ანგარიშს განხორციელებული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობის შესახებ;

1.10. სადისერტაციო საბჭოს შუამდგომლობით განიხილავს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შესაყვან კანდიდატურებს;

1.11. იღებს გადაწყვეტილებებს სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების შესახებ;

1.12. ამტკიცებს სახელმძღვანელოების მომზადებისა და თსას-ის საგამომცემლო საქმიანობის გეგმას, მისი განხორციელების შედეგებს;

1.13. ამტკიცებს თსას-ის წლიურ ბიუჯეტს, მასში შესატან ცვლილებებსა და ისმენს განხორციელებული ბიუჯეტის შესახებ ანგარიშს.

1.14. იხილავს თსას-ის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების განკარგვისა და მართვის ანგარიშს;

1.15. პერიოდულად ისმენს თსას-ის სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის ანგარიშს;

1.16. სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს და განიხილოს თსას-თან დაკავშირებული სხვა საკითხებიც, რომელიც უკავშირდება თსას-ში მიმდინარე პროცესებს, მაგრამ არ განეკუთვნება თსას-ის სხვა სტრუქტურული ერთეულების/მმართველი ორგანოების პირდაპირ კომპეტენციას. განხილულ საკითხებთან დაკავშირებით საბჭო ამზადებს რეკომენდაციებს.

1.17. ახორციელებს თსას-ის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს მუშაობის წესი

1. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება სემესტრში არანაკლებ ერთხელ;

2. სხდომის მოწვევის უფლება აქვს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს.

3. სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრება სხდომის თავმჯდომარის მიერ;

4. სამეცნიერო საბჭოს სხდომის დაწყებამდე სამეცნიერო საბჭოს წევრი შესაბამის ფორმაზე ხელმოწერით აფიქსირებს სხდომაზე გამოცხადების ფაქტს, რაც დაერთვის სხდომის ოქმს. სამეცნიერო საბჭოს წევრი, განსაკუთრებულ გარემოებათა გარდა, ასევე ვალდებულია, სხდომის გამართვამდე წერილობით შეატყობინოს სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანს სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი და არაუგვიანეს მომდევნო სხდომისა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია (ცნობა ან/და სხვა სახის მტკიცებულება), ასეთის არსებობის შემთხვევაში;

5. სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი საბჭოს სხდომის დაწყებისთანავე წარუდგენს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას (დოკუმენტაციას) სამეცნიერო საბჭოს;

6. სამეცნიერო საბჭოს წევრის სამეცნიერო-შემოქმედებით შვებულებაში (ქალაქგარეთ) ან მივლინებაში ყოფნისას სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია საჭიროების/აუცილებლობის შემთხვევაში ელექტრონული ან სატელეფონო

კომუნიკაციის მეშვეობით უზრუნველყოს მისი მონაწილეობა კენჭისყრაში (იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მისი ხმის იდენტიფიცირება);

7. სამეცნიერო საბჭოს წევრის მიერ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3-ჯერ, ხოლო ერთი წლის განმავლობაში 6-ჯერ გამოუცხადებლობა მიიჩნევა სამეცნიერო საბჭოს წევრის მხრიდან ჩადენილ უხეშ დისციპლინურ გადაცდომად და არაეთიკურ ქმედებად;

8. სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ განაცხადი (შესაბამის პროექტთან ერთად) სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივნისათვის უნდა იქნეს მიწოდებული სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, სხდომის დღის წესრიგის პროექტსა და თანდართულ მასალებს დაუგზავნის სამეცნიერო საბჭოს წევრებს, რომელთაც შეუძლიათ ორი დღის ვადაში თხოვნით მიმართონ თავმჯდომარეს დღის წესრიგის პროექტში დამატებითი საკითხების შეტანასთან დაკავშირებით. სამეცნიერო საბჭოს სხდომის დღის წესრიგის საბოლოო პროექტი სამი დღით ადრე გადაეგზავნება სამეცნიერო საბჭოს ყველა წევრს ელექტრონულ მისამართებზე და გამოიკვრება საინფორმაციო დაფებზე. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე განსაზღვრავს დღის წესრიგს;

9. გამონაკლის შემთხვევაში, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თანხმობით, აღნიშნული მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული პროცედურის დაუცველად შესაძლებელია სხდომაზე იქნეს წამოყენებული დამატებით განსახილველი საკითხი;

10. სამეცნიერო საბჭოს სხდომა არის დახურული. სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწვეულ იქნენ პირები (ხმის უფლების გარეშე), რომლებიც დაკავშირებული არიან სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან;

11. სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია (თანხმობა დასტურდება ხელის აწევით). კენჭისყრის მიმდინარეობისას იკრძალება სამეცნიერო საბჭოს წევრის მიერ სხდომის დარბაზის დატოვება;

12. მომხსენებელთა გამოსვლის (პროექტის წარმოდგენის) დროსა და ხანგრძლივობას განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია გარკვეული დროით შეაჩეროს ან საერთოდ შეწყვიტოს სხდომის მიმდინარეობა, თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აქტუალური აღარ არის ან ამოწურულია;

13. სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა სამი მეოთხედი;

14. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სხდომის მონაწილე წევრთა შემადგენლობის უმრავლესობა. ხმების გაყოფისას გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. სამეცნიერო საბჭოს წევრი ვალდებულია, დააფიქსიროს დადებითი ან უარყოფითი პოზიცია.

მუხლი 6. სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი:

1.სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) სხდომის თარიღი, დრო და ადგილი;

ბ) სხდომის თავმჯდომარის, წევრების, ასევე მოწვეულ პირთა ვინაობა;

გ) დღის წესრიგი;

დ) სიტყვით გამომსვლელთა ტექსტის (მოკლე) შინაარსი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება, რეკომენდაცია, დადგენილება, განცხადება.

2. სხდომის ოქმს დაერთვის დღის წესრიგით გათვალისწინებული წერილობითი მასალა;

3. ოქმს ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (სხდომის თავმჯდომარე) და საბჭოს სწავლული მდივანი (სხდომის მდივანი). ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება თსას-ის ბეჭედი;

4. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება, (რეკომენდაცია, დადგენილება, განცხადება) შეიძლება გამოქვეყნდეს ცალკე აქტის, გადაწყვეტილების (რეკომენდაციის, დადგენილების, განცხადების) სახით, რომელსაც ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ამ შემთხვევაში ოქმი ცხადდება გადაწყვეტილების (რეკომენდაციის, დადგენილების, განცხადების) განუყოფელ ნაწილად;

5. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებათა (რეკომენდაციის, დადგენილების) შესრულება სავალდებულოა თსას-ის ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის.

მუხლი 7. სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი;

2. სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი:

ა) სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით ადგენს სხდომის გამართვის თარიღს, სხდომის დღის წესრიგის პროექტს და ამ დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად, თანდართულ პროექტებსა და სხვა მასალასთან ერთად აწვდის თსას-ის სამეცნიერო საბჭოს წევრებს;

ბ) აღრიცხავს სამეცნიერო საბჭოს წევრების სხდომაზე დასწრებას (გამოცხადების შემთხვევაში - ხელმოწერებით დადასტურება; გამოუცხადებლობის შემთხვევაში - საპატიო მიზეზის მითითება);

გ) ადგენს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმს;

ი) უზრუნველყოფს სამეცნიერო საბჭოს წევრთა საკონტაქტო მონაცემების არსებობას;

3. სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სამეცნიერო საბჭოს საქმისწარმოების მასალებს გადასცემს შესანახად თსას-ის კანცელარიას (არქივს).

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

სამეცნიერო საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებები ხორციელდება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის - რექტორის გადაწყვეტილებით.